

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 1

ცვლილებები ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავს ვალდებულებებში

წყაროები

- ფასს 16 – „იჯარა“.
- ბასს 1 – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ (შესწორებული 2007 წელს).
- ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“.
- ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“ (შესწორებული 2003 წელს).
- ბასს 23 – „ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები“.
- ბასს 36 – „აქტივების გაუფასურება“ (შესწორებული 2004 წელს).
- ბასს 37 – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“.

ამოსავალი ინფორმაცია

1. ბევრ საწარმოს გააჩნია ძირითადი საშუალებების დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის მოვალეობები. წინამდებარე ინტერპრეტაციაში ამ ტიპის ვალდებულებები მოიხსენიება როგორც „ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები“. ბასს 16-ის მიხედვით, ძირითადი საშუალებების ამა თუ იმ ელემენტის თვითღირებულება მოიცავს მისი დემონტაჟისა და ლიკვიდაციის და იმ ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების საწყის შეფასებებს, სადაც ის არის განთავსებული. ეს მოვალეობა საწარმოსათვის წარმოიშობა ძირითადი საშუალების შეძენის დროს ან გარკვეული პერიოდის მანძილზე მისი გამოყენების შედეგად, თუ ამ პერიოდში იგი, მარაგების წარმოების გარდა, რაიმე სხვა მიზნებისათვის გამოიყენებოდა. ბასს 37 მოიცავს მოთხოვნებს, თუ როგორ უნდა შეფასდეს ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და სხვა მსგავსი ვალდებულებები. წინამდებარე ინტერპრეტაცია მითითებებს იძლევა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა აღირიცხოს არსებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებების შეფასებაში მომხდარი ცვლილებების გავლენა.

მოქმედების სფერო

2. წინამდებარე ინტერპრეტაცია ეხება ძირითადი საშუალების ნებისმიერი არსებული ექსპლუატაციიდან ამოღების, აღდგენისა და მსგავსი ვალდებულების შეფასებაში მომხდარ ცვლილებებს, რომლებიც:

- ა) აღიარებულია როგორც ძირითადი საშუალების თვითღირებულების ნაწილი ბასს 16-ის მიხედვით, ან ფასს 16-ის შესაბამისად, როგორც აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულების ნაწილი; და ამავე დროს
- ბ) აღიარებულია როგორც ვალდებულება ბასს 37-ის მიხედვით.

მაგალითად, ძირითადი საშუალების ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენის ან სხვა მსგავსი ვალდებულება შეიძლება არსებობდეს ქარხნის ექსპლუატაციიდან ამოღებისათვის, მომპოვებელ მრეწველობაში გარემოსათვის მიყენებული ზიანის რეაბილიტაციის ან მოწყობილობის ლიკვიდაციისათვის.

განსახილველი საკითხი

3. წინამდებარე ინტერპრეტაცია იმას ეხება, თუ როგორ უნდა აისახოს ქვემოთ განხილული მოვლენების გავლენა, რომლებიც ცვლის არსებული დემონტაჟის, აღდგენისა და მსგავსი ვალდებულების შეფასებას:
- ა) ვალდებულების დასაფარად საჭირო, საწარმოდან გასაცემ, რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის (მაგ., ფულადი სახსრების) შეფასებაში მომხდარი ცვლილება;
 - ბ) მიმდინარე საბაზრო დისკონტირების განაკვეთის ცვლილება, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ის 47-ე პუნქტში (ეს მოიცავს ფულის დროითი ღირებულების ცვლილებებს და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ კონკრეტულ რისკებს); და
 - გ) ზრდა, რომელიც ასახავს დროის მსვლელობას, ფაქტორს (ასევე მოიხსენიება, როგორც დისკონტის პოზიციის დახურვა).

კონსენსუსი

4. არსებული ექსპლუატაციიდან ამოღების, აღდგენისა და მსგავსი ვალდებულების შეფასების ცვლილება, რომელიც გამოწვეულია დროის პერიოდის შეფასების შეცვლით, ან ვალდებულების დასაფარად საჭირო, საწარმოდან გასაცემ, რესურსებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის სიდიდის შეფასების ცვლილებით, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილებით, უნდა აისახოს მე-5-7 პუნქტების მიხედვით.
5. თუ შესაბამისი აქტივის შეფასება თვითღირებულების მოდელით ხდება:
- ა) 2(ბ) პუნქტში განხილულ შემთხვევაში – ვალდებულების ცვლილებები უნდა დაემატოს ან გამოაკლდეს შესაბამისი აქტივის თვითღირებულებას მიმდინარე პერიოდში;
 - ბ) აქტივის თვითღირებულებიდან გამოკლებულმა თანხამ არ უნდა გადააჭარბოს მის საბალანსო ღირებულებას. თუ ვალდებულების შემცირება აჭარბებს აქტივის საბალანსო ღირებულებას, ნამეტი სიდიდე მაშინვე უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში;
 - გ) თუ კორექტირების შედეგად თანხა ემატება აქტივის თვითღირებულებას, მაშინ საწარმომ უნდა განიხილოს, ხომ არ არის ეს ფაქტი იმის მიმანიშნებელი, რომ აქტივის ახალი საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს სრულად ანაზღაურებადი. თუ ეს მართლაც ამის მაჩვენებელია, მაშინ საწარმომ უნდა შეამოწმოს აქტივი გაუფასურებაზე, მისი ანაზღაურებადი ღირებულების შეფასების გზით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალი აღრიცხოს ბასს 36-ის შესაბამისად.
6. თუ შესაბამისი აქტივი ფასდება გადაფასების მოდელით:
- ა) ვალდებულებაში მომხდარი ცვლილებები ცვლის მანამდე ამ აქტივთან დაკავშირებით აღიარებულ გადაფასების ნამეტს ან დეფიციტს ისე, რომ:
 - (i) ვალდებულების შემცირება (2(ბ) პუნქტის შემთხვევაში) აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და გაზრდის გადაფასების ნამეტს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული იმავე აქტივის ჩამოფასების აღსადგენად;
 - (ii) ვალდებულების ზრდა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში და ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით.
 - ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულების შემცირება აჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც აღიარებული იქნებოდა, თუ აქტივი თვითღირებულების მოდელით აისახებოდა, ნამეტი თანხა მაშინვე უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში;
 - გ) ვალდებულების ცვლილება იმაზე მეტყველებს, რომ აქტივი შეიძლება გადაფასებული უნდა იყოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ სიდიდისაგან, რომელიც განისაზღვრებოდა სამართლიანი ღირებულების მეშვე-

ობით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ნებისმიერი ამდაგვარი გადაფასება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ თანხების განსაზღვრისას, რომლებიც აღიარდება მოგებაში ან ზარალში ან სხვა სრულ შემოსავალში (ა) პუნქტის მიხედვით. თუ გადაფასება აუცილებელია, უნდა გადაფასდეს ამ ჯგუფის ყველა აქტივი;

- დ) ბასს 1 მოითხოვს, რომ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახოს სხვა სრული შემოსავლის ან ხარჯის თითოეული კომპონენტი. ამ მოთხოვნის შესასრულებლად ვალდებულების ცვლილებით გამოწვეული გადაფასების ნამეტის ცვლილება ცალკე უნდა განისაზღვროს და ასევე უნდა აისახოს.
7. აქტივის კორექტირებულ ცვეთად ღირებულებას ცვეთა ერიცხება მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. შესაბამისად, როდესაც კონკრეტული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ამოიწურება, ამის შემდეგ ვალდებულებაში მომხდარი ყველა ცვლილება უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში, ცვლილების მოხდენისთანავე. ეს ეხება როგორც თვითღირებულების მოდელს, ასევე გადაფასების მოდელს.
8. დისკონტის პოზიციის პერიოდული დახურვა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში ფინანსური დანახარჯის სახით, მისი წარმოშობისთანავე. ბასს 23-ით გათვალისწინებული კაპიტალიზაციის ნებადართული ალტერნატიული მიდგომა იკრძალება.

ძალაში შესვლის თარიღი

9. საწარმომ წინამდებარე ინტერპრეტაცია უნდა გამოიყენოს იმ წლიური პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2004 წლის 1 სექტემბერს ან მის შემდგომ. რეკომენდებულია ვადაზე ადრე გამოყენებაც. თუ რომელიმე საწარმო ამ ინტერპრეტაციას გამოიყენებს 2004 წლის 1 სექტემბრამდე დაწყებული პერიოდისათვის, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.
- 9ა. ბასს 1-მა (გადასინჯული 2007 წელს) შეცვალა ფასს სტანდარტებში გამოყენებული ტერმინოლოგია. გარდა ამისა, განაპირობა მე-6 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება უნდა გამოიყენოს იმ წლიური პერიოდებისათვის, რომელიც იწყება 2009 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. თუ საწარმო უფრო ადრინდელი პერიოდისთვის გამოიყენებს ბასს 1-ს (შესწორებული 2007 წელს), იმავე პერიოდიდან უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებაც.
- 9ბ. 2016 წლის იანვარში გამოცემულმა ფასს 16-მა - „იჯარა“ - გამოიწვია მე-2 პუნქტის შეცვლა. საწარმომ ზემოაღნიშნული ცვლილება იმ პერიოდში უნდა გამოიყენოს, როდესაც გამოიყენებს ფასს 16-ს.

გარდამავალი დებულებები

10. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები უნდა აისახოს ბასს 8-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“ – მოთხოვნების შესაბამისად¹.

¹. თუ საწარმო ამ ინტერპრეტაციას გამოიყენებს 2005 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის, მაშინ იგი დაემორჩილება ბასს 8-ის წინა ვერსიით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რომელსაც ეწოდებოდა - „საანგარიშგებო პერიოდის წმინდა მოგება ან ზარალი, არსებითი შეცდომები და ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში“; თუ ამ სტანდარტის შესწორებულ ვერსიას არ იყენებს ამ ადრეული პერიოდისათვის.